



ინდიგოს კონფიდენციალურობის პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ინდიგოს სარედაქციო პოლიტიკის ნაწილია. როგორც რესპონდენტების, ისე საიტის მომხმარებელთა პირადი მონაცემები ყურადღებით მუშავდება და ვიცავთ პროფესიულ სტანდარტებსა და საქართველოში არსებულ კანონმდებლობას. შესაბამისად, მომხმარებელთა მონაცემთა ბაზა დაცულია უკანონო წვდომისა და გამოყენებისგან.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს მომხმარებელთა პერსონალური და სხვა სახის ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის წესებს.

თქვენ მიერ მონიშვნა ველისა „ვეთანხმები წესებს და პირობებს“ გულისხმობს, რომ გაეცანით დოკუმენტს, ადასტურებთ მას და აცნობიერებთ, რომ თქვენსა და ინდიგოს შორის ურთიერთობა დარეგულირდება ამ დოკუმენტის თანახმად.

1. პერსონალური მონაცემები

1.1. ინდიგოს ვებსაიტზე რეგისტრაციისას გროვდება შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი, გვარი
- ტელეფონის ნომერი
- ელ.ფოსტის მისამართი
- მისამართი ჟურნალის/წიგნის მისატანად

1.2. ინდიგოს ვებსაიტზე პროდუქტის ყიდვისას თქვენი ბარათის ინფორმაცია ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, შესაბამისად ამ მონაცემებს არ ვინახავთ.

2. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი და ვადა

2.1. „მომხმარებელი“, როგორც პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი, ვებსაიტზე თავისი პერსონალური მონაცემების შეყვანით თანხმობას აცხადებს და წინასწარ და ნებაყოფლობით უფლებამოსილებას ანიჭებს ინდიგოს დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები და ვებსაიტზე „მომხმარებლის“ მიერ განხორციელებული აქტივობები შემდეგი მიზნებისთვის:

- ვებსაიტზე გამოქვეყნებულ კონტენტზე წვდომისთვის.

- მომხმარებლისათვის სერვისების მიწოდების, გამოსწორებისა და გასაუმჯობესებლად
 - პირდაპირი მარკეტინგისთვის
- 2.2. ინდიგო მონაცემებს ინახავს განახორციელებს იმ ვადამდე, სანამ „მომხმარებლის“ მხრიდან არ მოხდება სხვაგვარი მითითება წინამდებარე დოკუმენტითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. მონაცემთა უსაფრთხოება

- 3.1. ინდიგოში არსებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები უზრუნველყოფს „მომხმარებლის“ მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.
- 3.2. ინდიგო მკაცრად იცავს „მომხმარებლის“ პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მონაცემების დამუშავება სჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

4. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

- 4.1. „მომხმარებელს“ უფლება გაქვთ მოსთხოვოს ინდიგოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.
- 4.2. „მომხმარებელი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ინდიგოს მისი პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა კომუნიკაციის ნებისმიერი შემდეგი საშუალებით:
- ელ-ფოსტა: info@indigo.com.ge
 - სოციალური ქსელები: [Facebook](#), [Instagram](#)
 - წერილობითი შეტყობინებისთვის: იაკობ გოგებაშვილის ქუჩა 38, თბილისი
- 4.3. ინდიგო ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან განადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი.

5. პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის წესი

- 5.1. ინდიგო იტოვებს უფლებას, რომ შეცვალოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, მასთან დაკავშირებული პრაქტიკა და შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე პოლიტიკაში, რის შესახებაც ეცნობება მომხმარებელს.